

ხელოვნური ინტელექტი სტრატეგიულ
კომუნიკაციებში
(ჩეთხოვების მაგალითზე)

საბა ჩიხლაძე, მედეა სანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საზოგადოებრივი
ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

საბა ჩიხლაძე

მედეა სანაძე

28.06.2019

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე ჩეთბოტების გამოყენების პრაქტიკები. ჩეთბოტების წარმომადგენლების და დარგის ექსპერტების ინტერვიუებზე დაყრდნობით, განხილულია ქართულ ბაზარზე პირველი ჩეთბოტების შემოსვლისა და მათი განვითარების ისტორია - გამოყოფილია სირთულეები, რომლებიც ჩეთბოტების ქართულ ენასთან ინტეგრაციის დროს იქმნებოდა და აღწერილია ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ასევე საუბარია ჩეთბოტებისა და ადამიანის შრომის ურთიერთმიმართებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ჩეთბოტის შექმნამ კომპანიაში გააჩინა მოთხოვნა უფრო მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

კვლევის ფარგლებში, გაკეთებულია სამი ქართული ჩეთბოტის, „თი ბოტის“; „ბი ბიტოს“ და „უნა ბოტის“ ფუნქციური და ხასიათის ანალიზი. შედეგად, გამოყოფილია კომპანიების მთავარი საკომუნიკაციო მესიჯები, რომლებიც ჩეთბოტების „ტვინში“ ანუ ხასიათშია ჩადებული. გაკეთებულია უშულოდ ჩეთბოტების კამპანიების ანალიზი სოციალურ მედიაში და განიხილია ჩეთბოტების საკომუნიკაციო ენა.

საძიებო სიტყვები: ჩეთბოტი; ხელოვნური ინტელექტი; კომუნიკაციები; სოციალური მედია; მარკეტინგული კამპანიები, ტურინგის ტესტი.

Abstract

The chatbot Industry is growing fast in Georgia. That's the reason why big organizations, like banks are trying to add a chatbot in their communications strategy. This paper reviews practices of using chatbots on the Georgian market. According to the interviews of Georgian chatbot owners and industry experts, research describes how the chatbot industry started in Georgia – what was the main problem they face in the beginning and how they deal with them. And also how chatbot industry is growing today – what are the main benefits for organizations to have a chatbot and how chatbots are used in company's integrated communications.

Keywords: Chatbot, Artificial Intelligence, Communications, Social Media, Marketing, PR, Campgains, Turing Test.